

23

ქვეყნული  
განათლების



# მათრასი

და საღამური

№ 10

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

9781

კვანთა



ჩვენ სოფელში ზეკუცია გეხლათ!

## დეჭვებია.

ოზურგეთი. ქალაქის თავი თფილისს გაემგზავრნ, რომ მოელაპარაკოს ბელგიის საზოგადოებას ოზურგეთში ელექტრონის ტრამვის გამართვის შესახებ.

ადგმა. ქარაველ მუშათაგან ბევრმა "ისახელა" თავი. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ენციკლოპედისტი გ. სიმინაიშვილი.

ჯურჯვეთი. ზაფხულის სეზონი გათავდა და მოაგარაენი სახლებს უბრუნდებიან, არ იბერის მხოლოდ ქალბატონი ეგზეკუცია. იმის ძლიერ მოეწონა ჩვენებური ჰაერი და ქათმები.

ბაკურიანი. ადგილობრივ სადგურის უფროსს განუზრახავს სადგურის წინ ბაქანზე ფარდული გააკეთოს, რომ მატარებლის დასახვედრათ მოსული ხალხი წვიმაში არ იწუწებოდეს. დაბრკოლება ფი-



კრებზეა და თუ იშოვეს დაჩინების ბედს ძალლი არ დაჰყვებს.

**ხილდისთავი.** დიდი კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხილდისთავში დაქერილი მანდილოსანი, რომელიც აბრეშუმის მაგიერ კენჭებს ყიდდა და რომელმაც განაცხადა ცხოველძიების ცოლი ვარო, ვიღაც ბასილეთელ კლანდაძის ცოლი ყოფილა. კლანდაძეების ცოლები ბოიკოტს უშვადებენ.

**ქ. თელავი.** ილია პავლოვიჩის კერძო გეშაზი. ში თავისუფალი ადგილები აღარ არის, რის გამოც თხოვნებს აღარ იღებენ.

**იქიდანვე.** როგორც ხმა დადის თელავის თავი თანამდებობას თავს ანებებს, რადგანაც ცოტა ჯამაგირს იღებს და ქალაქის საქმეებს კი ბევრს ასრულებს.

**ქვეთრული დარბევები.**

„ნუ თუ ბოლო არ მოეღვის  
სიღუბსურეს, უგანთობას!“,  
დათიკო ჭიპაძე.

ძვირფასო დავით კიპაძე!

ვერ წარმოიდგენთ როგორი სიამოვნება განვიცადე, როცა რედაქციაში თქვენი „განთიადის“ № 1 მოვიდა და ისიც ჩემ სახელზე. სიმაართლე მოგახსენოა; იმდენათ „პირველი ტომის“ მიღება არ გამახარებია, რამდენათაც ზედ აღნიშნული წარწეხა: „რჩევა დარიგების შესახებ“.

**პოეტობა,** ძმობილო, ისეთივე გადამღები სენია, როგორიც **დრამატურგობა,** მაგრამ არა უქანას-ქნელსავით უკურნებელი. ამიტომ მეც შევეცდები ცოტათუ-ბევრი დახმარება აღმოაჩინო თქვენს მწუხარებაში და ნუ დამძრახავთ სიმცირისათვის, ვინაიდან:

„კეთილი გულით მოძღვნილი  
მციორელიც შეიწირების“  
თორემ სად ძალ-უძს ეშვასკა  
გაბუღებულება . . . . .

მაშ დავიწყო!

თქვენი „განთიადის“ პირველ ტომს რომ „№ 1“ არ ეწეროს, ეგრე საშიში არ იქნებოდა თქვენი მდგომარეობა, ხოლო ახლა ყველასათვის აშკარა საქმეა, რომ „შგოსნობის“ სატკივარს ღრმით გაუღდაშ უფსევები თქვენს არსებაში. ეს გარემოება ძლიერ მაშინებს, მაგრამ ხომ მოგახსენება:

„შიში ვერ იხსნის სიცივლისა,

ცუდია დაღრევილობა“-ო.

მე, ძმაო დათიკო, მინდა თქვენი განკურნება უმთავრესად „ზე შთაგონებით“ და აგრეთვე ზოგიერთ „ბუნების სიღუფლოებათა“ ახსნა განმარტე-

ბით“, მაგრამ იმის კი გახზავა უნდა დიდი პატივისცემელი იყო მათი მკითხველი, არ მინიშნო.

თქვენს პირველ ლექსში, ანუ „ბოღვაში“, (ზეშთაგონების ძალით თქვენ უნდა დაეყრთათ, რომ თქვენი ზოგნა საზოგადოთ ბოღვა. ამას დიდი საქმე არ სჭირია და აღეჯათ მოახერხებთ, ხოლო შედეგი ფრადე სასარგებლო კენჭს თქვენსავე). რომელიც „განთიადი“ აწერია ამბობთ:

„შუა ღამეა... საშინლად ბნელა,  
ყველგან ჩამქალა სანათურები.  
ქვეყნად კი მეფობს წყვედილი ძალა  
და თარეზობენ ბნელი ძალები.  
შუა ღამეა... ბოძობუბის ქარი,  
ღრუბელი ღრუბელს მძლავრად ევაჯების,  
ქვექა-ქუხილით ვარსკლავნი თითიან,  
მთავრე ბნელ ძალებს მტრობას შეძანის.  
ცა იღრუბლება და დედა-მიწა  
გაშთაგებული მძიმეთა სუნთქავს.  
სალი კლდეები იფერფლებიან,  
ზღვებსა, თკანთ ქვესენლი შთათქავს.“

ვისთვისაც უნდა მიგეშართა, ამ სამი პირველი ტომის წაითხვისათანაც იმდენს გადიწყვეტდა თქვენი განკურნების შესახებ, მაგრამ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მე არ ვარ ასეთი მოშიშარი მიდრეკილებისა. ჩემი აზრით:

არა რა არს უკურნებელ,  
თუ ღროზე სცნა კაცმა სენი...  
მით უმეტეს „პოეტობა“,  
როგორც მეგალითად თქვენი.

თქვენ ამ შემთხვევაში საქმარისია ვაითვლის-წინოთ ერთი უბრალო რამ: სახელდობრ ისა,

- ა) რომ ღრუბელი აორთქლებულ წყალსა ჰქვია;
- ბ) რომ ის არის ჰაეროვანი ნივთიერება და არა მაგარი;
- გ) რომ ღრუბლები ერთმანეთს არ ეჯახებენ-ბიან;
- დ) რომ ქვექა-ქუხილი სრულიად სხვა მიზეზებისაგან წარმოსდგება, ვიდრე ღრუბლების ჯახისაგან;
- ე) რომ ცის გუმბათზე ატებილ ქვექა-ქუხილს ისე არა აქვს გავლენა ვარსკლავებზე, როგორც თქვენს „პირველ ტომს“ ინგლისის ლიტერატურაზე.

როდესაც ყოველივე ამას ჩაუკვირდებით და ვაითვლისწინებთ, მაშინ თქვენთვის ცხადი იქნება, რომ ზემოთ მოყვანილი ტაბუები თქვენი „განთიადისა“ ეგრეთ წოდებულ უმეცრებაზეა აგებული და რაკი უმეცრება სხვისიც უნდა გაბუღდეს, თქვენ თავს როგორ არ გაუმტყუნებთ მისდამი მიდრეკილებას.

თუ მოახერხებთ ამ პირველი ნაბიჯის გადაღმას, შემდეგი ჩემი საქმე იყოს. ეცადეთ.

თქვენს მესამე ლექსს „წმინდა სამება“ აწერია და ასე იწყება:

„მთვარიან ღამეს ცა მოწმენდილზე  
მწვანე მიწადორში ტკილით მდინა“.  
„იესო ქრისტემ და სულმა წმინდამ  
მირთინი გაბაუსე შუბლზე აშეფა“.

გინახავთ ყოველივე ეს, მაგრამ ამ დროს უცებ გამოგვიძიებთიან დამწუხრებულს და გულმოკლულს, რადგან ვაღვიძებთან ერთად სანეტარო სიზმარიც გამჭრიალა. ამ უბედურობის დროს თქვენ ეშმაკური აზრი მოგვსლიათ თავში და მეორე გვერდზე გადაბრუნებულს ხელ-ახლა დაგიძინათ, რომ კიდევ გინახათ სიზმარი სანეტარო:

„ღაღინებულმა, ფიჭვებით სავსემ  
განმეორებთ მე დაგიძინე,  
წმინდა სამება კი ვეღარ ვნახე  
და ვერც ხმა ტბილი ზეით ვისმინე“.

აქცე დიდი დამოქრება არ იყო საჭირო, ჩემო კარგო, რომ ასეთი საჯავო საქმე არ დაგმართოდა. როცა განმეორებით იძინებდით, თქვენ უნდა გაგმხსენებიათ ერთი თათრის ამბავი. თქვენი სიკეთისა არ იყოს, იმანაც სიზმარში სასიამოვნო რამე, ანუ ფელამუში თურმე, ნახა მაგრამ თან კოვზი არ დაიჭრა. როგორც კი ვაიღვიძა, მაშინვე კოვზები ჩაიწყო უბეში და „განმეორებით დაიძინა“. მაგრამ დახებთ მის უბედურობას: ფელამუში ვეღარ ნახა.

ეს ძველის-ძველი ამბავია და მეოცე საუკუნის „მგოსანს“ უნდა გცოდნოდ, რომ ქვეყნის საცილდათ „ძილის განმეორება არ მოგვხდინა“.

თქვენს მეოთხე „ლექსს“ წარდგინა აწერია და შიგ ასეთ რამეებს ვკითხულობთ:

„იმედს ვარგადიდ... ვფიქრობთ გულში  
მუხლ მოღრეკილი ღრმად ვლოკულობდით  
ქვეყნის შეილებზე, ქრისტიანებზე  
ხელ აპყრობილი ვლმობიერობდით.  
სულ ვლადდებდით, ცრემლებს ვფარქვევდით,  
ხალხისა ზველას ღმერთსა შეესთხოვდით,  
მაგრამ უფალსა, სამპიროვანსა  
სრულებით მაშინ მე არ ვახსოვდი“.

თქვენ, ძვირფასო დაგით, ისიც უნდა ჩაიგონოთ, რომ „ქვეყნის შეილებზე“ მართო ქრისტიანები არ არიან, რომ ათასი სხვა მათი ათასი სხვა ჯურის ხალხი ბინადრობს დედა-მიწის ზურგზე. უნდა შეიგნოთ აგრეთვე ისიც, რომ წმინდა სამება, ან ღმერთი უფალი არ არს საყვედურის ღირსი, თუ იმას თქვენ ზოგ შემთხვევებში სრულებით არ ახსოვხართ. განა არ იცით ღმერთს რამდენი რვეყნი უაჯს ქვეყანაზე? და განა სასაყვედუროა, რომ სულ მუდან თქვენ არ ახსოვდეთ? ამის ეგოსტო-

ბა ჰქვია და „პოეტობასთან“ შეერთებული ეგოსტობა ძლიერ მაგნებელი სწერა ჩნდნილდუმისათვის.

უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო, რომ დაკვირვება ძლიერ შეუწყობს ხელს თქვენს გამომართლებას და გირჩევთ უფრო საკუთარ ნაწარმოებს დააკვირდეთ. დღი ხნის ვარჯიშ-გამოკლილება არ იქნება საჭირო, რომ მთელი თქვენი მგოსნური მოღვაწეობა სასაცილო ქარაფშუტობათ მოგტყვენოსთ და როცა ამ უკანასკნელში დარწმუნდებით, მაშინ მისგან განკურნებაც ადვილი იქნება.

მაგალითისათვის დააკვირდეთ თქვენს „გაზაფხულს“.

„გაპქრა ზამთარი და დედა-მამიან  
იწყო წელ-ნელა აღმოართველება“...

ეს სრულდებით პოეტური თქმულება არ არის. ცხონებელი ტიტე პრემილაძე სწერდა თავის „საუბრაში“: „როცა ნიგირთელი გლეხები რასმე მკითხავდენ, მე სირცხვლით თავზე ორთქლი ამოდილოდა“. აქ ეს პოეტურიცაა და შესადარიც, მაგრამ თქვენს ლექსში ნახმარი „აღმოართველება“ ისე უხდება გაზაფხულს როგორც ძროხას უნდარი იანუ გიორგი ამირეჯიბს რედაქტორობა.

„გამოიღვიძა მიწის მუშაპაც,  
შეუღდა ყანის მარგალა-თესვისა  
ტყის დაღრებმაც ყურთ დაცქირტეს  
მთაც წაბაქსე შრომაში სხვასა“.

არა მგონია ცვირილაში სხვანიარად იცოდენ და საზოგადოთ კი ჯერ სთესენ, ხოლო როცა ამოვა და ბალახი შემოიფეცა მერე მარგალიან ყანას, თქვენ კი უკუღმა მოგვისთ ყველაფერი. არც დიდრებზე ითქმის, თითქო შრომაში ადამიანს ბაძავდენ ისინი.

„ბუნება ხარობს, ყანები ყვავის  
აღარ აზინებს მათ საფრთხულოა,  
გაპქრა ზამთარი კვლავ კი გამოფდა  
სიცოცხლით სავსე გაზაფხულია“.

აქ მე აღარ მოგეხმარებთ და აბა თქვენი თუ მიხვდებით რამდენი შეუფერებელი აზრია ნახმარი.

დასასრულ მოვიყვან რამდენიმე კუბულტს მუშისადმი მიწაძლვენ ლექსიდან.


„ოც ფუთიან ტვირთ ქვეშ ძლივსა კენეს  
საბრალო მუშავს!  
შენს ღია გულ-მკერდზე სტყჳეს და დულს  
ოფლი სიმწრისა,  
შენს ფართო-შუბლს ღრეჯე შრომა და წარბ  
მოუხერტლობა  
და შენს მაღლიან მარჯვენს კი გმობს  
ჯიჯე მდიდრისა“.

აქ ყველაფერი საუკეთესოა, იმეორე ყველაზე უფრო ვასაკვირო ის მოსაზრება, რომ „მუშის მარჯვენას მდიდრის ჯიჯე გმობს“.

ერთი სიტყვით მე ბევრი რამ მქონდა თქვენთვის სარჩევით, მაგრამ ყველაფერს ერთად ვერც მე ვახერხებ და ვერც თქვენ მოინდობთ. თუ რიგოანათ აასრულებთ ყოველივე იმას, რაც გულწრფელათ გირჩიეთ, იმედი მაქვს ეს უბედურება აღარ გაგიმეორდებათ, მაგრამ თუ ვინც(ობაა მეორე ნომერიც დაგემართოსთ, მაცნობეთ და კიდევ ვილონებ რამეს.

ახლა კი მშვიდობით.

შარადის თქვენი ეშმაკი.



სახელნი სხვისი სასჯელი მისი.

ჩაფიქრებულა მამუკა  
 ორბელიანთა გვარისა,  
 თავ დაბჯენილსა მკლავზედა,  
 ზღვა დასდის ცრემლთა ღვარისა.  
 ფიქრობს ვაჟაკი: „რა მოხდა,  
 რა ვქენი ამის სადარი!  
 მე თუ აქ ვზივარ, გიორგი  
 ამირეჯიბი სად არი?“

ნუ თუ მას შერჩეს სახელი  
 „ბაღში მებრძოლი გმირისა“  
 მე კი შავ-ბნელი საკანი  
 კარზე მომგვრელი სკირისა?  
 შემომეცალენ ტოლები,  
 მარტო დამტოვეს ობლათა,  
 ბაღში ნაღენი ცრემლები  
 უნდა ვზლო ქირის ოფლათა.  
 ციხეში მჯდომი მამუკა  
 აბა ვის შეებრალვისა...  
 ამირეჯიბი ნავარდობს,  
 როგორც ნამდვილი „ქალისა“.  
 ღმერთო, რა გკოდე ესეთი  
 რათა გამიმწარე მე ყოფა...  
 აწ ტანჯვას ბოლო მოუღე,  
 რაც დავისაჯე მეყოფა“.

ჩაფიქრებულა მამუკა  
 ორბელიანთა გვარისა,  
 თუყვის კედლებს: „მითხარით  
 გიორგი სადლა არისა“.

—კი.

გურული სცენა.

(ვალესიაში)

მღვ. სტაროსტი ოღუტევე ოღუტევე რემლს იქნებ ვინმეს ფეხი შემოუტოტეს შით.

სტაროსტი.—ვაი წაზეხდი რას მახამებ ხუცესო ჯიბეები შენ დაურტევე და მე რაღა დაურტევა?


ღიაკანი.—რას ყაშმიერობ საფინდინევე სხვაი რომ აფერი ვსთქვათ სირცხვილს რა უყოთ სამი კაცი და ამხელა საყდარი.


სტაროსტი.—ჩვენი ბედი რომ ოთხი არ ვართ, თვარა გაყოფაზე ერთმანეთს დავქვან კავდით. ახლამშვენიერია: საკურთხეველი მესაკურთხე ხუცეს, საკაცებო განყოფილება შენ და საქალბო კი მე.

მღვ.—ქარმეხი კი გაგიდგა თავში! შენ ლანტურობ და მე კი სირცხვილი სირცხვილია და კუჭით კაკალ გულზე ვსტებთ.

სტაროსტი.—ამოკიდებს დამცინავ კილოზე ღი-  
 ლინს:

რა გაღიზინებს ხუცესო  
 სჯობს მტყუალე ბანსო,  
 სირცხვილის არ ეშინია  
 თქვენი შუბლის კანსო.  
 აკი მრევლი თქვენ შესწირეთ  
 სადრამო ქანქარსო,  
 ბოიკოტმა თვარ იქყვალა  
 კი გაუძლებთ სხვასო.  
 მაშენი წუუიღურამშხანეთ  
 ვინც რა უნდა სტქვასო,  
 აწ შინისკენ წაფილინდეთ  
 ვითომ გვიწირავსო—(გაღის)  
 შხანკოლა.





„პერიეგზამენოვიისთვის“ მზადება!

საბახმარო კჷვლიტბი.

(ვაი—ფის ხმაზე)

დახე ჩვენს „სტუდენტებს“  
 „ბაქარასა“ შლიან  
 და მით ერთმანეთის  
 ჯიბებესა სკლიან.  
 „კონტრაბანდით“ რჩება  
 ბევრი იმათგანი,  
 გზის ფულს ვერ შოულობს,  
 ეწვის შუბლის კანი.

„არშიყობის“ სენი  
 სკირთ ჩვენს „ბარიზებსა“  
 სულში უფერებთან  
 „სტუდენტ-ავტორებსა.“  
 სიყვარულის თოკი  
 რომ მოაბან ყელში,  
 შემდეგ, როგორც ბურთი,  
 ათამაშონ ხელში.

ჩვენი გამეგობა  
 თუმც ბევრს დაფხაკურობს,  
 თვითონაც არ იცის  
 ვინ, ან რას მსახურობს.  
 არც წყალი გვაქვს არც რძე,

სული გვეხუთება,  
 მაგრამ რას დაქვენს,  
 თვითონ ხომ სუქდება!

„რესტორატორს“ მკითხავეთ?  
 თქვენს მტერს იმისთანა:  
 როს ჩანგალს მოგიტანს,  
 ავიწყდება დანა.  
 თუ რამე უთხარი,  
 მზათა აქვს მუშტები,  
 ამის გამო ბევრი  
 დაკარგა მუშტრები.

ხუმარა.



სიზმრის ახსნა.

1) თავი იხილო თოხლისა გაპუტული, თა-  
 ბახსა ზედა მდებარე:—ავია:

უწინარეს ყოველთა სიზმარი ესე მოასწავებს  
 რედაქტორსა ვინმე ამირჯიბისა გიორგიდ წოდებულსა „ბანკისა ბალად“ მოქეიფესა.

ეაშხა რომელსა „თავი თოხლისა გაპუტული-  
 სა“ მოასწავებს არა საკუთარსა თავსა რედაქტო-  
 რისა მის, არამედ ბლიკსა მისსაყუდებულსა, მო-  
 ლერებულსა სამხსრად ავთა და ორგულთა მამუ-  
 ლისა ჩვენისათა.

სხვათა ეამთა შინა სიზმარი ესე საცინელ არს  
 და არა სავალალო.

2) მეღა იხილო ცბიერი, მამალთა თანა  
 ერთობაზე მოსაუბრე—ფრიად საცინელია:

ეაშხა რომელსა სიზმარი ესე მოასწავებს რე-  
 დაქტორსა ვინმე თუმანიშვილსა, კოწიად წოდებულსა,  
 რომელი განსაკვიფრებლათ არსთა ყოველთა,  
 მელურითა კულისქნევითა თვისითა და ცბიერ  
 წყაოფილი დახლსა თვისსა შინა განსჯის კითხვათა  
 საკაცობრიოთა.

სხვათა ეამთა შინა სიზმარი ესე კვალად სა-  
 ცინელ არს.

# უიარალო ავიაზაჟი

(ნამდვიდა შემთხვევა)  
(დაასრული)

II

„დინ“, „დინ“, „დინ“, მოისმა შორით პატრონი ზარისა და ეგნენის ერთხმობიანი და შეუწყვეტილი წყარუნ ჩაბრუნის. „ფაქტონია“, გაიფიქრა ჯაბულომ და გულზე რაღაც მოაწვა, რის გამო მთელს მის ტანს ტკიბილათ გაეპყროლა. მართლაც, არ გასულა სულ რამდენიმე წუთი, რომ ჯაბულოს დუქნის წინ შეჩერდა ფაიტონი, საიდანაც ეგროპოვლად კობტად გამოწყობილი ორი ყმაწვილი ჩამოვიდა.

— „ვისო, არაყ არ დალევ?“ შეეცითხა ერთი.

— „კარგი იქნება!“ იყო მოკლე პასუხი. ამ სიტყვებით ისინი დუქნისაკენ გაეშურენ. მეეტლემ ძირს ჩამოვიდა, ცხენებს თვალი აავლ-ჩაავლო და დრონჯ-შემორტყმული ეტლის წინ გაჩერდა. არაყზე მიიწვიეს. ჩქარა მივიდა, თითქმის მიიბინა, გადაპკრა, გატრიალდა და ისევ ეტლის წინ გაჩერდა. ყმაწვილები კი ცოტა ხანს დუქანში დარჩნენ. არაყის დაღვეის შემდეგ ერთმა საწერ-კალამი მოითხოვა, ფინჯაგის ჯიბიდან სხვა და სხვა ქაღალდები ამოაღო, მაგიდაზე დააწყო და ერთ მათგანში რაღაც შენიშვნის კეთება იწყა. მეორე გატრიალდა და ნელის ნაბიჯით ეტლისაკენ გასწია. პირველმა წერა დაასრულა, ქაღალდები სწრაფათ აპკრიფა, ისევ ჯიბეში ჩაიწყო, მედუქნეს დანახარჯი ფული გადასცა და დუქნიდან აჩქარებულით გამოვიდა. ზრდილობიანმა ჯაბულომ ის ეტლამდის მიაცილა და მგზავრებს „გაბა შევიდობიანა! უსუსრეა. ცოტა ხნის შემდეგ, დუქანში რომ შემობრუნდა იატაკზე დაბექდილი ლურჯი კონვერტი შენიშნა.

— „პაუ, დარჩენიათ“, წამოიძახა და ინსტიქტიურად ფაიტონისაკენ გაექანა, მაგრამ ის უკვე მიმალულიყო. „უბრალო წერილი იქნება“, განიფიქრა პირველად მან. „იქნება საჭირო რამეა!“. ამ ფიქრებით ის დუქანში შებრუნდა, კონვერტი აიღო, შეატრიალო-შემოატრიალო და ერთ გვერდზე რუსული წარწერა შენიშნა. ჯაბულომ რუსული წერა არ იცოდა, მაგრამ რუსულ სიტყვებს ამტარებდა და ნაწყურსაც ცოტათი არჩევდა. დიდს წვალებით მან ძლივს ამოკითხა: **Городъ №. №. №. съ политическо-ссылному Аполону Пвагдазе.** ცოტა ქვემოთ კი ფრჩხილებში მოქცეული იყო: **250 вложеніемъ 25 рублией.** ამის წაკითხვაზე ჯაბულოს გული აუტყდა, რისილაც შეეშინდა: რისილაც შერცხვა, სახე გაუწითლდა და შემშფოთებულმა კონვერტს რამდენიმეჯერ იქნებულად და-

ხედა იქ, სადაც 25 рублией ჯებანს იტყვი, შემდგომ ციფრით გარკვეულ რაოდენობის უკონვერტი და გაფანტა. მან საჩქაროთ მოკეცა კონვერტი და ახალუბის ჯიბაში ჩაიფარა, მაგრამ ისევ მალე ამოიღო. აქანკალბეხები თათვის წვერით კონვერტის ცალი კიდე შეუხია. „იქ წერილი შეკეცილი მართლაც აღმოჩნდა ფული, ქაღალდის, ფერადი, ახალი, თითქმის უხმარი „ოცდახუთიანი“. ჯაბულომ სწრაფად ამოიღო ფული, მოკეცა და თავის ბუხანეში ფრთხილად ჩასდო, ცნობის მოყვარობით გაუცხუებულმა წერილზე გაშალა და დახლო შეავსებრილად დაიწყო იმისი კითხვა. წერილი შემდეგი შინაარსისა იყო:

„შვილო აპო! პირველად მიიღე ჩემგან მშობლიური საღამი და ნახევის ნატერა... შენი წერილი მივიღე... იწერები... იმ ამბავზე უკეთესი ჩემთვის რაღა იქნება, შენ გენაცვალოს შენი დედა?! მარა რა შეტკიბობისა ვართ, შენ კარგად იცი. მე, შვილო, მაღლიანი ხალხის შემწეობით ცხოვრობ! ამ პირობებში მყოფმა, შენ რაღა დახმარება უნდა გაიწვიო?... მაინც საწყალი დედის გული არ დამაგრდა ჩვენი ერთადერთი ქოხი ვაყვიდ. ოცდაორი მანეთის მეტი შიგ არავინ მოძკა. სამი მანეთი თუც მათხოვრობით შენამენი ფული მქონდა, ამ ოცდახუთ მანეთს გიგზავნი ვარდენ—მის ხელით, რომელიც ქალაქში მოდიოდა და აღმოჩქვა ამ ფულის იქიდან შენს სახელზე თავის ხარჯით გამოგზავნა. ასე, ეს ოცდახუთი მანეთი თუ გეყოფა იმ საქმისთვის, თორემ მეტი დახმარების გაწვევი იღარ შემიძლია... შენ იცი, შვილო, რაეა ქვეყნიანდ მოიქცევი!.. იოლი საქვენი გაგვიზარავს. შენ იცი, თუ ყორნების კერძათ არ გახდი საცოდავი დედიშენის თავს! მშვიდობით! შენი საწყალი დედა, მარია ვუდაგაძისა“...

მზე ჩაიღოდა, როდესაც ჯაბულოს დუქნის წინ შეჩერდა გამობრუნებული იგივე ფაიტონი, რომლიდანაც სწრაფათ გადმოხტა ერთი იმ ყმაწვილთაგანი, საჩქაროთ დუქანში შევიდა და მედუქნეს რაღაცაზე ლაპარაკი გაუძიარა: „...ევახალში რომ მივედი, შემთხვევით ჯიბე ვაქსინჯე და სწორედ ის კონვერტი აღარ აღმომაჩნდა. გზაზე, როგორც მასსოხს, ეტლიდან ახსად გადმოვსულივარ. მომაგონდა, რომ მხოლოათ თქვენს დუქანში შემოვედი და აქვე ჯიბიდან ქაღალდებიც კი ამოვიღე. შესაძლებელია, საჩქარის გამო, ჩემდა შეუძნებელად, წერილი სადღე აქ დაიხარდა და თქვენ ნახეთ“... დაასრულა მოსულმა. მის დანახვაზე ჯაბულო პირველად შეკრთა, დაიბნა, მაგრამ სითამა-

მე და გაბედულმა მალე დაუბრუნდა, სერიოზული სახის გამომეტყველება მიიღო და ცბიერი, გულმტკივნეული განცვიკრებით აღსავსე ყმაწვილს უკანასკნელს შეკითხვაზე გადაჭრილი უარით უპასუხა. სასოწარკვეთილმა და აღელვებულმა ყმაწვილმა ცხლა პირდაპირ გამოუცხადა, რომ წერილი ფულით მას უბეველად აქ დაუვარდებოდა და ნახულიც ეკნებოდა მუდუქსე. — „იმედია, რაც უკვე მოგახსენეთ იმ ფულის შესახებ, საკმარისია იმის საბუთად, რომ წერილი ფულითურთ ელავე და მიბრუნოთ. ამასთან, თუ იკარგებთ, გასამრჯელოთ ერთ ხუთ მანეთს გაახლებთ“, უთხრა მან ჯაბულოს და თვალბრუნებით შეიჩერდა, მაგრამ ამ აღმანიანსაგან დანაჯარგის ამოღების იმედი კი გაუქარწყულდა. იმის წინ იღვა უტიფრად, გრძნეულად მოლიმარი ჯაბულო, რომელიც მთიყვანდა, რომ არავითარი წერილი მას აქ არ უნახავს, რომ ენახა, არც დამალიდა და თავისი უბეველი, უმწიკველო პატიოსნების დასამტკიცებლათ მოუთხორობდა მის მიერვე შემთხულ სხვა და სხვა ზღაპრულ შემთხვევებს იმის შესახებ, თუ რამდენისთვის დაუბრუნებია კუთვნილებისაგან ამ დუქანში ვისიმე მიერ გავიწყებული-დატოვებული, ან სადმე გზა-შარახე ნაპოვნი ნივთი თუ ფული. „გულდაწყვეტილმა, იმედგაცრელებულმა ყმაწვილმა ერთი ზიზლით ახედ-დახედა ჯაბულოს. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, დუქნიდან გამოვიდა, ფაეტონში ჩაჯდა და უკან გამობრუნდა. ჯაბულო კი თავის დაუსრულებელ ზნაპრებს კიდევ დახანს, დიდხანს მოუთხორობდა დუქნის წინ შემთხვევით მოგროვილი ხალხს...

**ნ. ზომღეთელი.**

**შ ა რ ა დ ა .**

ნახი ყვავილის სახელი  
 გასქვრით კალმით ორათა...  
 (იკოდეთ უმეტნაკლებო  
 გამოეცა, თანასწორათა!)

პირველს გადასდებთ,  
 მეორეს დასვამთ შარადის თავდა...  
 (პირველიც არის საჭირო,  
 ბოლოზე მოსაკრავად!)

მოაბამ შემდეგ ჯერ ერთ ნოტს,  
 შემდეგ მეორეს გვერდათა...  
 (ნოტები ერთი მეორეს  
 მოსდევენ თქვენდა ბედათა.)

ახლა შეიტყობთ ჩვენ ხუცებს  
 თუ რა ანია გრძელათა..

(ხურჯინის ნაცვლათ ~~საქართველოში~~  
 საქართველოს სათარვედრანსა...  
 მოსწყვეტით ბოლო ანბანი  
 სამი შეგრანბათ წყებათა...  
 (სამივე არის საჭირო,  
 შარადის გასაგებათ!)

სულყველას ამის ბოლოზე  
 მოაბით შესაერთადა  
 პირველ ყვავილის ნაკვეთი  
 ცალკე რომ დაგვრჩათ, ერთად.  
 გამოეცა გვარი გვამისა  
 მრავალ-გზის განავონები,  
 მუშტი აქვს თავის ოდენა,  
 (თავი ბზის უხვად მქონები...)

გაზეთის რედაქტორია  
 პრობკისა შესაწონები,  
 ყიზილბაშისა დამცველი  
 (ვინც გლეხთ შედარო ქონები)  
 ბაღებში სახელ განთქმული  
 ტრაბახში მოსაწონები...  
 სასჯელის ასადუნებლათ  
 ხრიკების გამოგონებ...  
 ეტლით თუ ვეღარ დახსენი  
 რეგვენათ მომგონები.

კოლო.



**ახალი ამბები.**

**სტიპენდიები.** ქართულ დრამატიულ-საზოგადოებას თავის უკანასკნელ კრებაზე დაუდგენია: ეთხოვოს სარაჯიშვილს, დუნიშნის სტიპენდია ჩვენს ნიქიერ არტისტს და „დრამატურგს“ ვ. გუნიას, რომელიც აპირობს სახალხო სახლში სცენის მოყვარებულთა სწავლის განგრძობას, თუ ქველმოქმედს ფული არ ექნება, შეუძლია სპირტული სასმელები მისცეს სტიპენდიის ანგარიშში.


**საქველმოქმედო საქმე.** როგორც გავიგეთ, „ივერიის“ დახლიდარ ბან კოწიია თუმანიშვილს განუზრახავს შევიციელ კაპიტალისტთა სასარგებლოთ შემოწირულების მოგროვება. ჯერ-ჯერობით მოუკრებია 27 კაპიეი და იმედი აქვს, ორ-სამ აძლენს კიდევ იშოვის მუშათა გაფიცვის გასატებათ.

გრიგოლ

კინლამ მომხდარი უბედურობა. წყნეთის ქუჩაზე ტრამევის მოძრაობა დიდ განსაცდელშია. აქეთ-იქიდან მომდგარმა ვატმანებმა არ იციან, შედგენ ერთ ლიანდგიან გზაზე თუ არა. ამ დღეებში ერთი ვატმანი ვაგონის თავზე ასულიყო და იქიდან ათვლიერებდა მფორეს; ამ დროს უცებ ყვავმა დასჩავლა და საბრალო გულ შეწუხებული

ძირს ჩამოვარდა. რის ვაი-უფგდნობა! მისი ულიერეს საბრალო მსხვერპლი უსახლო საზოგადოებისა.

როგორც გავიგეთ, ამ ამბავს უმოქმედნია დირექციისზე და განურზახავთ აქაც ისეთი სიგნალიზაციის მოწყობა, როგორც სემინარიის მახლობლათ არის. ბარაქალა.



იგი სთვლემს, ტვირთი ბედითი თავის ალავას ჰკონია.

ლაფში გასერილო სინდისო...! კენის ძენო იხარეთ ესეც გვემაოთა, წაიღეთ, ხომ ჯავრი ამოიყარეთ?!

ტუქსიშვილი.

შესაკლებიელია?

გიმნაზიის ავაშენებ შიგ შევვლამ ემაწვილს ასსა ნემეცურათ განვისწავლი გავანათლებ მით თელავსა. მელნით ალახნის წყალს ვიხმარ, კალამთ სირაქელმის ფრთასა ქალადლათ კი თოვლ-შეფენილ სპეტაკ კავკასიის მთასა. „კურმანიკებს“ პროფესორათ გადაგიტევე პირველ წელსა... უსწავლელი კაცის ნახვას უცებ გავზღი სანატრელსა. მე ილიას მეძახიან პავლე ერქვა მამა ჩემსა... ტუქუილები მიყვიარს, მაგრამ დამიჯერეთ ყველა ესა.

შ—ლი.

— როგორ გგონიათ, ხელახალი შეფასება ქალაქის კონებათა მოხდება?

— რასა ბრძანებთ! ნახევარი ხმოსანი ზარალშია შეფარებით და ამის მოახდენენ!

ბუნების საპირივამებაანი.

სიკვდილის ხე. ინგლისის ცაზუეთში შემდეგ სმევირეულ ამბავს მოკვეთსრობენ: ჭუნებულში მყოფი ინგლისელი მისიონერის შეფი მახლოებულ ტუქუში შევიდა სსსე-ირნით. დაღამდა და ბაჰუშაკი არსდა სწანდა. შეწუხებული მამა რამოდენიმე ნანტობ-უნტობის თანხლებით შეიქცის სს-ქებრათ წავიდა. სსმი დღის ქებანს შემდეგ ბაჰუშაკი დავის ამაიწუნეს.

ის „სიკვდილის ხის“ მსხვერპლი გამწვდარეთო. ეს არის ვეებურეთელა ხე. ფოთლებზე დიდრონი ქაშეკები (კელები) და სსწეწი მალეები ასხია. როგორც კი მსხვერპლი მიუახლოვდება ფოთლები ძირს დაჰყუ-

\* \* \*  
კენის ძენი ხარობენ და ცოდვა იქნენს ენასა, ლაფში გასერილი სინდისი თავზე მოაჯდა რწმენასა. სული ნალველმა დალია გონებამ იღარ იწამა, სიმტკიცე შენაც მიიღიარა, უნდა შეგქამოს მიწამა? რას ეუბნები სოფელსა, რა გზაა რაღა ღონია,





ერთი „ხაორშაბათო“ გაზეთის რედაქტორი დალს ამოწმებს.

ბან, თავის მსხვერპლს იჭერს, ჯერ ქაჭვებით ჰკლავს ხოლო შემდეგ საწუწნი მიღებით სისხლისს წწავს.

მისიონერის შეიღი ასე დაუჭირა სიკვდილის ხის ფოთოლს, ქაჭვი თვალში, ტუნში გაეყრა და მოკვდა სხეულის ტიტველა ნაწილები: ზირისასე და ხელი ისე შეეკრა, რომ ცნობა გასწვირა იყო. ბაგში სულ ოთხი წლისა იყო, ეს მეხუთე შემთხვევა ამ ხისჯან კაცის შეკვამს...

სიკვდილის ველი ამერიკაში. ამერიკელი ჟურნალისტი სწერს: ამერიკაში არის სიკვდილის ველი. ეს ველი სივრცით დაახლოებით 200 ვერსია სივრცით 50 და მდებარეობს კალიფორნიის, და ნევადას საზღვრებზე. ეგელა, ვინც კი ფეხს შედგამს ამ ველზე ან გეღება, ან ჭკუდიან იშლება. ამ ველის დათვალიერება შეიძლება მხოლოდ მახლობელი მთებიდან, რომლებიც მას გარს ატრეა. როგორც ეტყობა—ველი ამომშრალი ტბა უნდა იყოს. ესეა ის უდაბნო, რომლის ზედაპირზე მხოლოდ სილა და მარილი მოსხანს. ველზე აქა-იქ ნაკადული ჩანქარებს. მარა საკმარისა ერთი ჰუმო წყალი ჩაისხით ზირში ამ ნაკადულებსგან, რომ მაშინვე მთიანად იქცევი. ხან გამოშვებით სილა და მარილი მოძრებაში მოდის და თითონ ნთქავენ ყოველივე იმას, რაც კი რამ შეხედვით ველის ზედა პირზე.

სიკვდილის ველი ეგელაზე უფრო ცხელი ატობლია, არამც თუ მთელ ამერიკაში, არამედ მთელ დედა მიწის ზურგზე.

საოკაფობოები აზრი ამტკიცებს, რომ ამ ველზე აურებული ბრილიანტები და ბუქრა, ბქროსა, ამან მადა აღძურა თქრის მოყვარულებს და კურირულ დიდი ექსპედიცია ეწვია ველს. მაგრამ ამათგან 50 მაშინვე დახოცნენ, ხოლო დანარჩენნი ჭკუდიან შეიშალენ. ამას წინათ კიდევ ერთი გაბედული ფრანგი, 6 თანამგზავრით ესტუმრის ამ ფოკოხეთის ველს, მარა მათგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა ეგელა დანარჩენი დაიღუპენ. თვით ფრანგმა კი ორი დღის შემდეგ სიცოცხესგან რეგულაქრით თავი მოკვლა.

ამ დღეებში იქ გაეშავებრა კიდევ რამდენიმე გაბედული მოგზავრი რამაღესსეც თან ახლდით ამერიკელი ლეიტენანტი. ამ ექსპედიციასგანაც ორი საათის შემდეგ მხოლოდ ერთი ცოცხალ-შვედარი სულდით დაბრუნდა.

ბ ა ხ მ ა რ ო ს .

გამოვეჭეტი ბობოქარ ქალაქს, სადაც პაერი მოწამულილია, სად ერთი ხარობს, ათისი წვილობს, სადაც სუყველას მრწამსი ფულია, სადაც სხოვრება დულს და გადმოოდს, სად იბადება აზრი ნათელი, სადაც ზრი სელია, მწარმეტრება, სადაც ბრძოლაა შეწვეტილი, და შენ, ბახპარო, მთაო მალალო, ლაფვარდ სივრცეში ზე აზილულო, ზურმუხტ ნამეგებით, ნაკადულებით ყოველის მხრიდან შემოზღულდულო, შემოგვეკვლე: რომ ღონე-მიხილის, დაავადებულს მასევა ნექტარი და დამიბრუნო ძალა, რომ შევისძლო არსებობისთვის ბრძოლა შედგარი.

ვიშ ნეტარებავ! ღრუბლების ზევით, მსუბუქ თიერთი გარს შემორტყმული ვდამევირ მწვერვალზე, თავს დამქათებებს მზე, ბადრი მთვარე, ვასკვლავთ კრებული; ელვა-ქუხილს ხელითა ვიჭერ, ღიამაზათა წინ ვადაშლილი: ტყე, მინღორ-ველი, ქალაქსოფელი, და ზღვა მღლევაირ, ფაფარ აყრილი.. და ეს დღიარ სანახათა შორს, შორს მიმაფერნს; ოცნების მხარეს, სადაც ადგილი არა აქვს ხოლმე ტანჯვა-წვლებას და სიმწუხარეს!

ვ. რუხაძე.

# უაუთო ბურჯუაქას.

(იმერეთის ცსფრებიდან)

(სენა შორე მოქმედებისა)

გამოსვლა I

(ჩიტულისა და მასწავლებელი)

**ჩიტ.** ღმერთო ჩემო! რამ გავიქრებია ავი ს-  
შინელი რამ!

**მასწ.** მივიკრის ღმერთმანი რისთვის მეკითხები.  
ხომ ხედავ, ეს თავ-გასული ჩარჩი აღარაფერ ს-  
შვალეხას არ ზოგავს, რომ როგორმე დაგვამცი-  
როს, თავისი ფუქსავატობა რაღაც გამირობის სხი-  
ვით შემოსოს.

**ჩიტ.** კარგი, მაგრამ ხომ ჩემი მშობლებიც  
სირცხელიში ჩავარდებიან.

**მასწ.** რა ვუყოთ, ჩემო კარგო, განა ისინი  
კი არ არიან ამისი ღირსნი? განა იმათი მოქმედება  
პატიონს ადამიანთა საქციელისგან ისე შორს არ  
არის, როგორც ცა დედამიწისაგან? განა იმათ ცო-  
ტა...

**ჩიტ.** კარგი, კარგი, ვიცი...

**მასწ.** მო და თუ იცი, არც იმათ აწყენს ჩვე-  
ნი სწავლების გეგმა, მაგრამ ყველაზე უფრო ეს  
ჩვენი სოფლებებისათვის იქნება სასარგებლო. მი-  
ხეილ ბელტაძე იმათ თვალში რაღაც დიდღეინიშა.  
გუშინ მას მატრაკვეცასა და რევენს ეხახოდნენ,  
დღეს კი ფულიანი კაცი გახდა და ხალხიც სხვა  
თვალთ უტკერის. მისი მეოხებით აღარც სკოლას  
აქტივენ უარადლებას, აღარც სამკითხველოს, აღარც  
რაიმე სხვა დაწყებულებს.

**ჩიტ.** ღმერთო, რა ურცხვი და მსუნავი რაემ  
უნდა იყოს...

**მასწ.** ან კი რა უნდა მოეთხოვოს ძარცვა-  
გლეჯით გასუქებულ მკლავებს, რომელიც ყველა-  
ფერს ფულით ზომავს, წარმოიდგინე სიყვარულიც  
ფულით უნდა იყიდოს. ხომ ხედავ, რომ მას ფუ-  
ლებით შენი ყიდვაც კი უნდა და რას არ ჩაღის  
შენ მშობლებთან...

**ჩიტ.** ის დღე არ მოესწრება მას...

**მასწ.** მაშ ასე... უღროვით სადმე სიცილი  
არ ატეხო, ან რაემ...

**ჩიტ.** (იგინას) ჩემო ოკროვ, კი მოგიფიქრე-  
ბია, მარა ჩემი მშობლებიც რო იღანძვება...

**მასწ.** რა ვუყო... სხვაფრივ მოუხერხებელი  
შეიქნა... (იგინას ორთავე).

გამოსვლა II

(ივანიჯე, შამტაბუჯა და ჩიტორეკა)

**ჩიტად.** (შამტაბუჯაზე; შემდეგ ფესვარეჯით  
შემოდის) უჰ... ვინ ყოფილხართ ბატონო მე დი-

დი ქალბატონი მეგონა და შემოსულისა? ვერ ვბე-  
დავდი. (მეფარება კარებთან) შიშტიბოქს! შიშტი...  
მოდი აქ, მოდი! ჩვენები არიან? ნუ გეშინია, არ  
გავიწყობებიან. (უნებ შამტაბუჯა შემოსტება).

**შამტ.** საღამო მშვიდობის უჩრტელო, ჩიტუ-  
ლია! (მეფარებათან).

**ჩიტად.** რა ვახუნთო რუცებს გოგო, გაჩერდი  
წორათ!..

**შამტ.** შენ ვინ გკითხავს, ბალი ათ შაურა-  
თააი?..

**ჩიტუდ.** (მხარზე ხელს ადებს სიდიდით) სხვა  
ამბები რა იცი, ჩემო ჩიტორეკიავ?

**ჩიტად.** ყველფერი კი ბატონო... (ეურწმა  
ჩაუწუნრულებს, იგინას).

**მასწ.** სხვა, ჩიტორეკო, რავა თქვი გუშინ?..  
შიშტიბუქას სიყვარული მუცელში ჩაგივირდა?..  
ასე თქვი, არა?

**ჩიტად.** არ გავიწყებია ჩემო ათანასე? ეხ!  
ძნელი ყოფილა ძმია, სიყვარული, ძნელი. (იგინ-  
ასან).

**შამტ.** ვაი, გავისკდა მიწა შენი სიმაღლებე  
და ჩავარდი შიით!.. ის კი არა, მეგონი ჩვენი ქალ-  
ბატონი თხოვდება აგარ... მიხეილს მიყობია.

**მასწ.** რას ამბობ?

**შამტ.** რა ვიცი, ასე იძახენ და... მთელი  
ქვეყანა ასე ამბობს და... წახანე ქაისთავე ვიყა-  
ვი და წამქამეს ქალებმა თავი, ჯვარის წერა რო-  
დისააო, როდის ქორწილდებაო... მე ჩამვიყვანე  
მიწაზე ღმერთი, ხატი, ჯვარი, მარა არ მიჯდრე-  
ბენ, ხვთის მადლი არ გამიწყურსთქვა, წმინდა ბა-  
სილი არ გამიწყურსთქვა, წმინდა გიორგი არ გა-  
მიწყურს თქვა, ესო ქრისტე არ გამიწყურსთქვა, მა-  
რა არ იქნა და არა, არ დამიჯერეს...

**მასწ.** აწი შე გლახა ვერ სთქვი, რომ კვირას  
იწერს ჯვარსთქო?

**შამტ.** მართალია თუ?!

**მასწ.** ამა არ იცი?

**ჩიტად.** ვაი, ვაი შენ პატრონს! ამა არ იცო-  
დი, ვერ გვიგე? ბამა გექ ყურში?..

**შამტ.** თუ ასეა ამა მე ვიცი, ამ საააზში ყვე-  
ლა მეზობლის ქალებს მოეუყობი.

**მასწ.** აგრე ქენი, აგრე, ყველას უთხარი.

**შამტ.** ვინ თხოულობსთქვა, ბურჯუაძეთქვა  
ბატონო?

**მასწ.** ხო... ხო... მიხეილ ბურჯუაძე...

**შამტ.** ამა, მე ვიცი აწი! ჩიტორეკო, უშვე-  
ლე, შევძრათ ჩვენებურათ ცა და ქვეყანა. (ჩიტო-  
რეკა ერთხანს მასწავლებელს ეუწუნრულება დამიდათ).

**ჩიტად.** მოგიკვდეს ბიჭი ჩიტორეკია, თუ სულ

ბუკი არ დაკრას... ბურჯულაძე ქორწილდება, ბურ-  
ჯულაძე ქვა... (გაზიან).

### გამოსვლა III

(მასწავლებელი და ჩიტული)

**ჩიტულ.** რა სასაცილო ამბავი ტრილდება  
დემრომანი, ან?.. ნეტავი სრულებით არ დაგეწყო  
ეს ოხერი, გული რაღაც...

**მასწ.** კარგი გენაცვალე, ნუ იცი შენ ასე  
ყველაფერში შიში და კორივით უკან ხევა! განა  
შენს ინტერესს კი არ შეადგენს, თუ იმას ჩვენ  
სოფლის თვალში დაეკეცივით და მისს სულის-  
კვეთებას ყველასათვის აშკარათ გავხდით? მე მკო-  
ნია შენ ისე თვლი მანებელ პირათ, როგორც მე...  
ის შენს თვალში მხეცია მტაცებელი აღმანიის სა-  
ხით, გარყვნილი და ჭეტი არაფერი... მე მგონია  
ყოველთვის უნდა ცდილობდე იმ კაცის დამარცხე-  
ბას, რომელიც დარწმუნებულია, რომ ფულთ  
იყიდის ყველაფერს: სინიბას, პატროსნებას, სი-  
ყვარულს...

**ჩიტულ.** კაი, კაი თუ გიყვარდე... მართალს  
ამბობ... მარა... მოვეკდი სიცილით... (იგინას).

**მასწ.** მით უმეტეს მაშინ უნდა ისარგებლო,  
როცა ის ამით დიად გრძობებებს სავაჭროთ და-  
დის... ამ დროს უნდა გაასულელო ის... (სიცილით  
გაღიან).

### გამოსვლა IV

(ზაგლე და მახეილი)

**მახ.** (ტანზე ვერაზიუღათ ადგა) დიხ, ასე ინე-  
ბა თქვენმა ქალიშვილმა და მეც მისს სურვილს  
ვასრულებ... ვით მონა მისი... მე სხვაფრივ მო-  
ქცევა არ შემიძლია. ვი თუ იწყინოს...

**ზაგლ.** მამანუწამიწყდება არ ვიცი. შეიძლება  
შენთვის ეს საწყენი არ იყოს, შეიძლება კიდევ  
გინახო, მარა მე კი ამას ჩემს ქალიშვილს ვერ ვა-  
პატიებ... როგორ შეიძლება მისი ბოვნი ხომ  
არა ხარ... მამანუწამიწყდება, მე რომ მიქნას...

**მახ.** ვეპ, არა უშავს ზაგლე, არაფერია! ევა-  
ტივება, ჯერ კიდევ ბავშვის ხასიათი აქვს.

**ზაგლ.** რაც უნდა იყოს, ეს მაინც უშუქნარე-  
ბელია... ბავშვი აქედანვე უნდა გაზარდო შენს  
ქუთაზე. ვის გაუგონია ასე? მოგწერს: ხან ასე გა-  
მოწყვეტ, ხან ისეა, ხან წითელ ჩოხას გავცემს,  
ხან შავს, ხან ქრელს. ახალთებს გაცვლევინებს,  
ქულს... ახლა კიდევ რუსული ტანისამოსი ჩაგი-  
ცვამს მისი მოწერით... ეს ვერა კაი... ხარჯია,  
ერთი, მეორე. შენ გამოუტყდელი ხარ, ჩემო მიხე-  
ილ და აი მე რა ვითხრა! კაცმა არასოდეს ცოლის  
ოჯახში გული არ უნდა აუსყვანიო—ას სურვილი-  
დან ცოლს ერთი უნდა დასრულეო და მაშინ იქნე-

ბა ოჯახის მომკინე, ნუყაითი და ერთჯერ... თვა-  
რა თუ ცოლმა ქმარი ერთხელ მოოჯახ და მოკა-  
კვა, მერე შენი მტერია, სულ უნდა შეიძლება...  
ეს იცოდ შენ... მამანუწამიწყდება მართალს...

**მახ.** ზაგლე, ზაგლე! ვავს, რომ შენ ახლაგა-  
ლობა გავგიწყებია...

**ზაგლ.** სრულიათაუ არა...

**მახ.** მომიბინე. რა ვუყო შენ კაცო როცა  
სისხლი თამაშობს და ხტუნავს, მაშინ გონება შორ-  
საა, რას ჩაღის მაშინ კაცი, თვითონაც არ იცის...  
ასე ქირს ჩიტულიასაც. ის ისეა გატაცებული ჩემი  
სიყვარულით, რომ ესაა გონება დაკარგოს...

**ზაგლ.** შეიძლება... მარა... მამანუწამიწყდება...

**მახ.** მომიბინე. და რაკი თქვენი, მშობლების  
მორიდებით ჩემთან დაახლოვება ვერ გაუბედინა  
ჯერჯერობით, ამით იკლავს ყინს. თორემ როცა  
ერთად ვიქნებით, მაშინ კი არ ოჯახს ამას. ავი  
მწერს, ეს ჩემის მხრით სულგონობაა, მარა რაღაც  
ბავშვური გატაცება მადენინებს ამას და შემდეგში  
კი, როცა ერთად ვიქნებით, ამის მსგავსიც არაფე-  
რი იქნებაო...

**ზაგლ.** არ ვიცი, შვილო, მე კი მაგას ვერ მო-  
ვიფიქრებ... ყოველ შემთხვევაში ერთს კარგად შე-  
ვახებრებ...

**მახ.** ზაგლე, როგორ შეიძლება ეს? თუ ჩემი  
სიყვარული გაქვს, არაფერი აწყენინო ჩიტოს, გა-  
ივლის დრო, ჯვარს დავიწერთ და ყველაფერი თე-  
ვისთავთ გარიგდება...

**ზაგლ.** შენ იცი, შვილო... (საერთო ზაგლა)  
სხვა ამ ლისთების რა ქენი? ხო ოუწიკე იმ ყუ-  
რუსალებს სახლკარი? ან?.. მამანუწამიწყდება...  
კარგად...

**მახ.** კიი! იცოცხლებ, მე იგნეს დღე დავაყე-  
ნე! ერთი სარის ძირი არ დამიტოვებია ოუწიკე-  
ლი! გაცვივითლი მამაძალად, ასე გვონა ფული რო  
ვასხებ, საჩუქარი იყა, კი არ ფიქრობდა მოცე-  
მას... ორი ქვევა ადგილი ქონდა და ისიც ოუ-  
წიკე... ისე სახლი...

**ზაგლ.** აი, ცხონდა მამაშენი! მასე უნდა იქნე-  
რო აზხეს და თელ სოფელში მაგისთანა თუ ვინ-  
მე არ გონია!.. მამანუწამიწყდება, მოუხდება!..

**მახ.** ამ კვირაში ხუთ კაცთან კიდევ უნდა  
მივიყვანო პრისთავი, „ლისთები“ გამოტანილი  
მაქვს... სულ კუდამდი დავატყავებ ყველას, ერთ  
კაპკასაც არ ვაპატიებ...

**ზაგლ.** გავიგონია? სულ წმინდაო დემრთო  
უნდა ამბო ყველას...

**მახ.** ვექსილდში სულ ერთი ორათ მიწერია  
მისცხებული ფული. თუ სინდისიანათ გარჯილი-

ყვეს და ვიდაზე მოეტანათ, მაშინ რაც ვასესხე მარტო იმას გადავახდენდებოდი, მარა ახლა კი სულ გადავაყვლეფინებთ... შენ ვერ წარმივადგენ, პავლე, რამდენ კაცს აქ ჩვენს სოფელში ჩემი ფული და ორი-სამი კაცის მტეტი სინდისიანათ არ ირჯება, ყველამ ან ვიდაზე გადამიცილა და ან მიცილაოზნიკა რამე...

**პავლე.** არ ვიცი, რაც შეილება არიან?

**მას.** მარა სად წამივილიან? ყველასგან ვექსილები მაქ, უკანასკნელ კვალ მიწას ოვეუწერ და თითოვით ვავხდი...

**პავლე.** ვინ გიძრახავს მერე? არაინ, მამანუ-წამიწყდება!... სარგებელს ხომ ბლომათ უწერ?

**მას.** იცოცხლე! მაგისტანებში ვერ მოამატუქებენ, სხვაი თვარა... (პაუზა) ჩვენ ისეთ დროში ვართ, რომ პატიოსნურათ და კაცურათ მოქცევა არავისთან არ გავა, ამისათვის ყველას მგლოათ უნდა გადაექცე... იმიზა რომე შენც თუ მარჯვეთ არ იქნები, აქით შევქამს სხვა ვინმე. აი ავიღოთ თუნდ ის, ჩემზე რა ვაზეთში დალუწერიათ...

**პავლე.** რაო, რაო?

**მას.** რაო და მუშებს საშინელ ცუდ პირობებში ამუშავებს მაღაროებში, ქირას უქამს, თავის დროზე არ აძლევს, პარავსო და სხვა ამისთანები. განა მე მარტო ვზომბი ამის? მთელი ქვეყანა ასე არ გამძღვრდა იქ? განა მთელი იქაური ვაჭრობა ქურდობაზე არაა აგებული? მე ვისი მონაგონი ვარ იქნა?.. ჩემსავით პატიოსნათ ერთიკ არ იქცევა იქნა, მარა აი რავე გამლანძღეს... (პაუზა) მარა, მარა, არა უშავს, ვიცი ვისი დაწერილიცაა...

**პავლე.** კაცო, მივივრს მამანუწამიწყდება! შენზე კი არა კაცო, ნიკოლაძეზედაც კი წერენ, მარა რა ვეყუთო, იმას აქცევ ყურადღებას?

**მას.** არა, მარა მაინც... აი ის... მე რო დამიწერა... აღბათ ის იქნება... ამას წინეთ არ მივიღე საშუაოთ... ეს, ვერ მოვიგონე გვარი... დასწყველობის ღმერთმა მისი თავი!...

**პავლე.** რეიზა არ მიიღე?

**მას.** სულელი ვიყავი, კაცო, რო ვილაც ანარხისტს და ბომბისტს ადგილს მივცემდი? მერე ხომ არ მექნებოდა მისგან მოსვენება! რა უნდა ერთობის! ხალხს რამე საქმეში?.. ისინი სულ კინწის კვრით გამოასტუმრებულთ არიან...

**გამოხვლა V**

(თეინავე და ვეფეშა)

**ვეფეშ.** ოო, ჩემი შეილი, ჩემი საყვარელი შეილი მოსულა? (შეაჯდება).

**მას.** მოვედი ჩემო მეორე დედავ, მოვედი...

**ვეფეშ.** როგორ გიკითხო შეილი, ხომ კარგად?

**მას.** (იგინის) როგორც მოგესვენებთ შეყვარებულის... ხა...ხა...ხა... ჩემი ჩიტო რას შეგება, ჩიტო?

**ვეფეშ.** რას იზამს გენაცვალეთ? ეწყოზა და ეწყოზა საქორწილოთ... სულ მისი ხელით იზადებს მზითებს მისი ქირიმე...

**პავლე.** მერე რა საბნები შეიკერა რო იცოდეთ? იო... იმაში კორტიანოს რა აჯობებს.. ქალი გვერდით იერიზაა...

**ვეფეშ.** ვახ, რა გლახა ენა გაქ შე საწყალო! რა დროის შენი ქალია, დაბერიდი კაცი. (მახეჯეს) ექვსი შალის საბანი შეიკერა, ექვსი აბრეშუმის... (თავისთავის) დედა რამდენი ტუყილი მე შემძლებია?.. სწორით ტურა ვყოფილვარ, ცხენის კულზე გამოსაბამი.

**მას.** ხა...ხა...ხა... ეზადება ან?

**ვეფეშ.** აღბათ თქვენ დიდ მზადებაში იქნებით, შეილო?

**მას.** რასაკვირველია რო ვარი ვარ და მეტი არა? ქიათურაში, ქუთაისში, ბათუმიში, ფოთში, თფილისში ყველა მეგობრებს და ნაცნობებს შევეუთვლე, რომ ცოლს ვირთავ სიყვარულითთქვა და როგორც კი მოგწეროთ, ქორწილში დამეპატრიეთთქვა. მე ასე ზადავწყვიტე: ორი დღე აქ, სოფელი-ში უნდა ვიღვინოთ, მერვე ვაგწვევ ქუთაისს ჩემს ვასტინიცაში და მერე თბილისში. ისეთი ქორწილი უნდა ვქნა, რომ მთელი ქვეყანა გაკვირდეს... ზურნა და არღანი უყვე დაქორავებულა...

**პავლე.** პა...პა...პა... ბიკოს! მაშ იქნება და იქნება ქორწილი, ან? ერთ ამ სიბერის დროს მატრიინებს ანა ჩემი სიძე ფაიკონია, ან?..

**ვეფეშ.** გენაცვალე, შეილო, ჩემი ხასიათის რო შეიქენი. მე, თუ გინდა ქვე მიძრახოს კაცმა და დიდი აპარტავანი ქალი ვარ. მიყვარს გამოჩენა, მდიდრული ცხოვრება, გარება, გამორება... და მაღლოლა ღმერთს, სიძეც რო ჩემი ხასიათის შემხება...

**პავლე.** მერე, ჩემო სიძე! მოვიკეტეს აზნაური პავლე სამარაძე, თუ არ ვასახელოს. ერთი ძველეს-ბურათ, ჩემებურათ რო მოვიგდებ ქულს გვერდზე და ვწრუპავ და ვწრუპავ ყანწებს... ეფ... მამანუ-წამიწყდება... ვასახელებ რალა...

**მას.** აბა შენ ემი! იმელა არ შემარცხვენ (პაუზა) მარა ერთი რამ უნდა გითხრათ, ჩემო მშობლებო. მოიწით აქეთ, კი მართალია მე და ჩიტულის გვიყვარს ერთმანეთი, მარა იცოდეთ, რომ თუ დაპირებულ მზითებს დააკელით რამე, გლახათ იქნება საქმე. ფეციცავე ჩემს ახალგაზღვობას, რომ ჯვარდაწერილ ქალს შემოგატოვებთ ხელში...

**ზგლ.** მაშინ მოკვდეს პავლე სამარაძე, რომ დაპირებულზე ერთი ძაფის საღირალი რამე დავაკლოს... რას ამბობ კაცო, მე მგონია კიდევ მოგიმატებ და... მამანუწამიწყდება...

**ეფემ.** მაგი რავე შეიძლება, შეილო, ჩვენს გვარი შევილობას მაგი შეშენდება?

**მახ.** თქვენ იცით. ეს ერთი, მეორე. თქვენი შეილი მე დღემდის თავის გრძობებზე არ დაშლავარკება. მართალია წერილებით კი ვიცი, რო ვუყვარვარ, მარა პირადათ მოლაპარაკებას ყოველთვის გაურბის. (დმიადით) მეც... მეც კაცი ვარ, მეთმება ჩემს საკოლესთან ტახელი მუსაიფი და ქუჭუნი. ამისათვის გთხოვთ ჩავგონოთ, რომ სფრო დამენდოს, მელაპარაკოს, უთხარით, რომ ის ჩემია და ვერაფერს დავაშორებს და სხვა.

**ეფემ.** კი გენაცვალე, კი შამოგველე! აქნობამდი გთქვა, თუ ასე იყო, ამ წუთშივე აქ გავაჩერე..

**ზგლ.** მორცხვია ის შერცხენილი მამანუწამიწყდება... მით უმეტეს ახლავ წიფელს! სოფელში ხმა ვავარდა, რომ თხოვდება და ხომ იცით ქალი-შვილი ქალის ამბავია...

**ეფემ.** ამა, ერთი კვირა კარში არ გამოსულა საწყალი...

**მახ.** ოო, ამის მეც ვატყობ! მასთან ჯვარის წერის დღევ ეხლავე უნდა დავნიშნოთ...

**ეფემ.** კი შეილო, კი გენაცვალე...

**მახ.** ჩემის ფიქრთ დღესწორ კვირას მოვხდინოთ...

**ზგლ.** კარგი ძალიან, მარა ჩიტოსაც ვკითხოთ...

**მახ.** კი ბატონო, ამა უმისოთ როგორ შეიძლება...

**ეფემ.** მაშ ეხლავე შემოვიყვან. (გადის). (დასასრული იქნება)

ვ. მალაქიაშვილი.



# ნაჩილუბი უშვანისადმი

**ნათუმე.** ჩვენისთანა უბედურები თუ კიდევ იქნებიან ქვეყანაზე, არა მგონია. ჩვენ აღარც ღმერთს ვახსოვართ, აღარც ანგელოზებს და ეშმაკსაც კი დავგვივიწყა. თუმცა თქვენ, დილო ეშმაკო აქ დანიშნეთ თქვენ მოადგილეთ „კეინწარი“ და ბლიკაძე, მაგრამ, მათ ერთხელაც არ გადმოუხედიათ ჩვენსკენ, მუშებისაკენ, ისინი უფრო უმაღლეს სფერებში აქეთებენ რევიზიას. ერთი რომ თვალი გადავცლოთ ბათუმის ნოქრების „ნაკვეში-რალისკენ“, მერწმუნეთ რომ იქ ბევრ სამათრახეს ახახვდენ. მავათში პირველი ადგილი დაეთმოა ყოფილი კავშირის „დახლოკრების“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არა „მკითხვე ოპიკონებს“. რაბან დავიწყეთ ეშმაკოჯან, სჯობს სულ თავიდან მოვიყვე. ჩვენ, ბათუმის ნოქრებმა 1906 წელს დავიარსეთ პროფესიონალური კავშირი რაღაც უხილავი ძალის

გავლენით კავშირის გამგე—მართვლათ გვეიღენ ისეთი პირები, რომლებიც გზაზე რომ შეგხვდეს და თავი დაუტარა შემოგებოცნის „როგორ ბედავ შე არამზადავ რომ თავს მიკრავო“ არ ვიცი იყო აქ ხათრი და მორიდება მანქეტ—ვარატნიკებისადმი, თუ სხვა მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ ვაჭბატონებმა პირველ არჩევის დღიდანვე დაიჩემეს ხაზინობა და ამან იქამდის მიგვიყვანა რომ ეხლა ჩვენი კავშირის ნანგრევებზე წარდი, კარტი ნუნუა და პარიარაღე აღმოცენდა, წვეგრებს დიდი ხანია რაც დაავიწყდათ კავშირის სხენებაც კი, რადგანაც ბაგრ ექვისი თვე არის, რაც ფული არ მოუკრეფიათ და წვეგრები კი ამით გეპულაბდენ კავშირის არსებობას; რომ ყოველთ თვის დამღვეს მიადგებოდენ ბოკაულივით; საწყვერო ფულისთვის. ამა კრების მოხდენა ღმერთმა შეინახოს. აუცილებლათ საქირაო მავათი შეხურება შენი კურთხეული მათრახით, რასაც ნუ დაიყოვნებთ.

„მერკინე ნოქარი“.

კ ი ც ხ ი დ ა ნ .

(დამარცხებულ ,,კომუნისტს“!)

იყო იმერეთს ხუცესი,  
მფლობელი ტყე და ველისა,  
კულა ბზიკა და ამაყი,  
მაცხოვრებელი მრევლისა.  
ხუცესს ძე ესეა მიხილი,  
„ტარილოზდა“ ძალითა  
ჩემობდა რაინდობასა,  
თავისი ბლაგვი ხმალითა.

ერთ დღეს ადგა მიხაილი,  
მღვდლის წინ ქედი მოიხარა,  
თაყვანი სცა მოწიწებით,  
გული მისი გაახარა.

უთხრა: „შიველ თვადისას,  
ამბობენ, აქ ქონებაო,  
მოგურავათა დავდგები  
ხალხი დამემონებო“.

ეგებ ბოლოს ხელთ ჩავიდლო  
მამულები, სახლო, ყმაო;  
ბატონობა დავიჩინო  
და გავითქვა ხალხში ხმაო“.

დასტური ჰყო მამამ შეილსა  
სამჯერ ჯვარი გადასახა,  
დალოცა და ასე უთხრა:  
„ღმერთმა ჩემებრ დაგასახლა“.

გახდა მიხა მოურავი,  
ცხენზე ზის და დაჯირითობს,  
უხარია, რომ ერომინე  
უკან მისდევს, ათრევს მის თოფს.

ბრძანებას სცემს მამულებში:  
აბრიალებს მკაცრად თვალბებს  
და საბრალო სოფლის მუშას  
გასტანჯავს და გააწყლავს.

მაგრამ ჩქარა გაუქრეულდა  
მიხას ნატვრა გულისაო,  
ერთი მაგრათ უპანჩურეს  
და მან გააუკლისაო.

ძველებურად ვერ ნავარდობს  
იგი ყალბი ტარიელი,  
ჩამოართვის რასაც ფლობდა,  
დარჩა შიშველ-ცარიელი.

დაწრილობს უბედური  
არც სახლი აქვს არც ბინაო,  
გულით უნდა მღვდელთან წასვლა,  
ვინ შეუშვებს მას შინაო!

„მიხას როგორ შემოუშვებ,  
ყალბი მომცა ვეჭილიო!  
მგონი ციმირს გამაგზავნონ  
არ არის ჩემი შვილიო!“

რა ესმა ესე მიხაილს  
მიმართა თავისს ვარლამსა:

„ბირველ გინატრი ყოველ კარგს  
და გიძღვნი ტუბილსა სალაშსა!

ხომ ვახსოვს შენის მოწმობით  
რომ გავიმარჯვე სულშიო?  
ჩემთვის სიკრუე არ ზოგე,  
რაც კი რომ გქონდა გულშიო!

ახლო ამას გთხოვ, დროებით  
მომეცი შენთან ბინაო,  
კანონით დამარცხებული  
მამამაც შემარცხვიანო“.

ამის გამგონე ვარლამი  
შეუთვლის თავის მიხასა:  
„მობრძანდით თქვენი ქირიმე  
და დარჩით თუ გინდ დიდხანსა!“

ბოლოს მიხამ მოინდომა,  
რომ დაეფლო სრულად „თირი“.  
იქიდანაც გააძვევს,  
ერთობ გაუსივს ცხვირი.

ზურაბაც თან მიაცოლეს,  
თავისის გულდანაბდითო;  
ქირს ვარამზე დემართა  
ლამის გათავდეს დარკითო.

შეგროვდნენ დამარცხებულნი,  
აწლაკუნებენ პირსაო!  
მიხა ქამანჩას ყიდულობს,  
ვარლამი რაქულ სტვირსაო.

ვლადიმერ ყიარათს უწევს  
მთ უყუფეს ქირს და ლხინსაო  
მიჩერებიან „კონკრობას“  
დაუგინებენ ღდინსაო.

ჩიკორტელა,

დ. ხაშური. ამ დღეებში დ. ხაშურის ღორე-  
ბი შეეცოთხენ აქაურ მამასახლისს, — ს. ხადიაი-მუ-  
რახას, რომ შეეძლოთ თუ არა მათ, სამხედრო წე-  
სებეს მოხსნის შემდეგ მაინც დაბრუნდნენ სამშობ-  
ლოში და თავისუფლათ იცხოვრონ. მამასახლისმა  
განუშარტა, რომ ისინი გაეცეგებულნი არიან სამშო-  
ბლოდან არა სამხედრო წესების მოხსნამდე, არა-  
მედ მთავრობის მამასახლისების მოხსნამდე.

ღორებში დიდი მღვდღვარებაა და ვნახოთ რა  
„ქნება“.

— ამ დღეებში აქ, — ტვირანას სამიკტონოში,  
„ბახუსის“ წვევით თავი მოიწმალეს მიხაილოვის  
ღებოს ორმა მუშამ, — იაშვამ და იოსებ თ — შვილ-  
მა. დახმარების აღმოსაჩნეთ საჩქაროთ მოწვეულ  
იქნა რკინის გზის ექიმი. — ბ. მინასიანცი, რომელ-  
მაც ისინი ხოლოვით აუთმყოფათ სქნო. მით გა-  
მობრუნება ეტყობათ.

თავის მოწამების მიზეზით, ამას წინეთ მიღებულ ჯამაგარს ასახელებენ...

ახალი ვერ შემაკებული.

დ. ყვირილა. ბ. ეშმაკო! არ იქნა და არა, ვერ ვეღვრისეთ თქვენ ნახვას, თორემ ვერგ რამეს გაიჭინებდით ჩვენი კურთხეულ და ყვირილაში ყველაზე უფრო სინტერესო სანახავია სამოქალაქო სასწავლებლის მოუთავებელი კედლები, რომლებიც ავტო ხუთი-ექვსი წელია საცოდავით ვადმოიყურებთან მაღლიდან. მოვესწარით მთელი დაბის ლუქნების გადაწვის და უკეთესის აგებას; მხოლოდ ვერ მოვესწარით და ვერა ამის მოთავებას. დღეს, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სულ უნდათ ვითომ დახურონ სასწავლებელი და ან კი რა საქიროა, როდესაც აქაურები ისედაც ძალიან განათლებულები არიან. თითქო ისიც მართალია რომ ფულები უკვე შეუკურნებია, მაგრამ სად გაქრა არაინ იცის. სასამაოვნო სანახავს, თუ იკითხავ, ხილზე მოაზიყე ქალ-ვათა გუნდია, მათი დაუსრულებელი სიცილი-სიკისი და სხვა-და-სხვა დასაკრავები, როგორც მაგ. გიტარა, მანდალინი და სხვა ძლიერ გასამაოვნებთ. დაინიშნა გადმა გამომბო წყლის პრათ „საკულაო“ ადგილები; ორთავე მხარეს დღემდის ყვირილის და შორანის დღეობების მუხოკა უკრავს შობათსა და კვირა საღამოობით; მაგრამ მათ შორის ერთს დარჩა უპირატესობა გაღმის მხრით, რაღვან გამომღმის მხრით შორანის ღღობს მუშები უკრავდენ მუზიკას და დღეს ზოგი მათგანი შეწყობილია და ზოგიც სულ დათხოვნილი სამუშაოდან, ანუ სამსახურიდან; მაგრამ მიიქც არაფრათ ესწრება ხალხი, რადგან ჯერ კიდევ გამოურკვეველია სად უკეთესია ამაჟობა მიღზე თუ იქ. უნდა მოგახსენოთ, არის ხანისხან ჩხუბიც, მაგრამ რაუყოთ მერე. ეს ხომ ნუნუას პრაღია და ხომ იცო რა მწელი რამაა ზოგიერთათათვის ძველი მამაპაპური ზნე ჩვეულებების დავიწყება?! თუ არ დაგეზარება და აქაურ გადამწვარ თეატრის შერობასაც ინახულებთ არ იქნება ცუდი; გასამათრახებელი პირები კი თქვენ გამოიციანო!!

პოლისნეს ნათლული.

სად. ულუხანლუ. მძო ეშმაკო! რომ იცოდემ რამდენი მყვლდოგო ჰყავს ამ ონერ ულუხანლუში ჩვენს მუშებს, მაშინვე მოაშურებდი შენი მათრახით. აქ მძათა ლავაზიძეებს აქვს სასმელი ლუქანი, ეს ლუქანი წარმოადგენს მუშათა კულტურულ დაწესებულებას. „ბილიარდი“ „პიკარდი“ და „ხარადი“ აი დანიშნულება და მიზანი ამ კულტურულ დაწესებულებისა. იმდენად გაკადნიე-ღენ ამ ლუქანის პატრონი ლავაზიძეები, რომ რამდენიმე პირთან შეტერნ პირობა და იქ შესული ხალხს თუ კი რამე მოუხერხებ ტყავს აძრობენ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეხსლეღმა აჯობა თამაშობაში მივირდებიან და ცინა-ტყვათი გარედ გამოისტუმრებენ და თუ მოახერხენ ფულსაც ართმევენ, შენ კარტი ჩავიწყვეო და სხვა... ასე უყვებს ერთ ადამიანს ამ ერთი

ყვირის წინათ. ასე რომ თქვენნი იქ ჩამოსვლა ძლიერ საქიროა. სანამ ძმებს ლავაზიძეებს ზურგს უკან არ ვაუხურებდა თქვენი მათრახით, მანამდე არ მოეშებიან მუშათა ყვლფეს.

ტერგ-რეპორტოგს მოხვდა თქვენი მათრახის კული და ცარკო არ იყო სტვირი ძირს დაუშვა. თუ კიდევ საქირო იქნა შემოგთვლი.

ააქური.



წამილი რედაქციის მიმართ.

ბატ. რედაქტორო! „მათრახ-სალამურნი“ მე ვ. ს. ში-შითავესუელი იყო ბ. კასიოს წერილი, რომელშიაც სხვათა შორის სწერდა: „სტატანის ისედაც დამონაგებელი რკინის გზის მუშები შეღტონ დღეობის მოქებით კიდევ უფრო დამონაგეს მათმა უფროსებმა. ამ დღეებში აქ მუშებმა მოთხოვნაჲს წარუდგინეს თავიანთ უფროსს, რომლითაც მოთხოვნენ ზარბებებს ცოტათანად გაუშვობესგებას, ადაც შეღტონ და ურჩია მუშებს თუ სა და ამ მუშას დღეობა სხვებმა კინტს ვერ დასრკენო მართლაც ნაგვლათ დაქმარფილების სამი მუშა უღუქმა ზურად გამოავლეს ქაქაში. მამო კუშკო ერთ მათრახს შეღტონ-სათვისაც ნუ დაიხარებ, ხნად გავრდა კაცთა იქნება მიხუცებულადობის დროს მაინც დასნებოს თავი ამ ხელდასს.“

სამსიქიე ბრადღებას! მართალია სამი მუშა დაითხოვეს, მაგრამ ერთი ე. გუბერი-ქურდობისთვის ხოლო სხვა ორი მუშა სანათანის კალახვის გაშო. რომ ეს მართალია და მე ბ. კასიო უფლად უსამართლად და უაუფებლად ჩირქს მტებს ამას დაამტკიცებენ არდლომბრთე მუშები. ნეტა თუ იცის ბ. კასიომ რა ბრადღებას აუტებს ჩემზე! გამიღის რომ მათფისინაღური მაგულდარა ვეოფილფარ ჭკითხეთ ბატონებო ამ მუშებს, რომლებიც ჩემან მუშაობდენ და რომლებიც მუშაობენ დღეს როგორი ადამიან ვარ მე-ჭკითხეთ სასოკალოების ამ სახატოა წვეთო, რომლებიც მე დასახოგებით მიღნებენ ბ. კასიო ან უნდა დავიწყოთ რომ სანამ ვარ ტად არ ციკებო საქმის ნამდვილ მინარს არ უნდა დასწვეროთ და შეგდომაში არ უნდა შეიფხნით როგორც რედაქცია ისე სასოკალოება.

მელტონ დლოიძე.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი ბატონებუელი უწრადი „მათრახი და სალამურნი“-ს საშუალებით სამედიატორო სამართაქმი გა-



მათრასის ფონდი

სურამში, ძმარს, თქვენი წილი არ დარჩებულა. ვეღ  
დავიჯერებთ რომ ისეთ «პურლინის» კაცი როგორც კო-  
წია ერისთავი, მწყურვალ ბავშვებს ბაის წყალს უბერდეს,  
ყოველ შემთხვევაში ჯერ შევაძოვებთ დაქტს.

სამტრამიძე, პატარა ბზიკს, «მათრასის» № 9 მოთა-  
ვებული იყო კ. კიკელიძის წერილი, ის თქვენ სამარ-  
თალში გიწვევდა და მელდობრებ დანიშნა, თქვენ საპასუხო  
წერილში არაფერი არ სწერია იმის შესახებ: თანახმა ხართ  
თუ არა სამართალში გაყოლაზე, ასეთი წერილი კი არ დი-  
ბებდებოდა, რადგან ბევრს კამათს გამოიწვევს.

ახალ-სენაძი, აღუქმანდრეს, თქვენი პოეტური ნაწარ-  
მები «, შურასადმი» მხოლოდ დათიკო ჯიბაქს მოგვრის  
შურს.

„ხელეთს მამორებ, ჯოჯოხეთს მაწინდ  
ჩემს აზრს ბუნდოვანს შენ კაცს ვერ აწინდ,  
და უმიზეზოთ კეწნით კაცს  
კვადრ-ცოცხლთ მტოვებ სავათას ძილსა.“  
ბუნდოვანაზრთენება მართლაც რომ არ დაგვერახებათ.

იუპორის სრულ პოეზიურული, ეოველ-კვირე-  
ული, სურბათებიანი შურნაღი

# „მათრასი და საღამურები“

წელიწადში ლირს-ნ მან., ნახევარი წლით—  
2 მან.: 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ლირე-  
ბულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქ-  
ციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „საღა-  
მურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდებელი განცხადებები: პირველ  
გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.  
ლორებიანი რედაქციის ადრესი: Тифлиси, Типогра-  
фия Т-ва «Промა» Василию Болквадзе.

# “ფაუსტი“

გიოტესი

თარგმანი პ. მირიანიშვილისა

ფასი 1-მან. 25 კ.

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს წიგნი დაე-  
თმობა თითო მანეთად. გამოიწერა შეიძლება ფას-  
დღედებითაც ხოლო გასაგზავნი დაემტრება ითიო  
წიგნზე ორი შაური.

ვიცისაკ სურს ეს წიგნი შეიძინოს მიმპართოს  
ბოლოს „სტამბაში“ ფასო ბოლოქვაძეს.

— თქვენი ქმარი თფილისის სიცხეში იხარ-  
შება და თქვენ კი აქ ბორჯომში სტკებდით.

— მართალი მოგახსენოთ, ვერაფერი დტკობო-  
ბაა თქვენისთანა ბაიყუშთან მუსიოფი.

მოიწიოთ ამავე შურასადის შერეო ნომერში მოთავსებულ  
კორესპონდენციის ატკარი, რომელიც ჩირქს მტკებს.  
შედატკრეთ ვინაწაე ან. საღუქკაქეს. ედას ვაძღვე ერთ  
კვირას დღადან გამტკინაჯების დასასხელის თავის შე-  
დატკრებ, სსამართლას გადაწვეტკილება ერთ ერთ  
ქართულ ცახეთში უნდა გამტკინაჯდეს.

### აჩსენ ვადაჯკორია

ბ.ნო რედაქტორა! „მათრასი“-ს მე-9 ნომერში  
ვილაგ „პროვინციელი ეშმაკი“ მწამებს, თითქოს შე და  
შღველი შედიტონ ფუნიას სკალაში ძრეიელ შიურასდი  
იტკაზე გვეტკრეთ. სიმართლის დასადგენათ „პროვინ-  
ციელი ეშმაკი“ ვიწვევ სმედატკროო სამართადში ვაძ-  
ღვე წინადაებას, დღადან ამ წერილის დასტამბვისს,  
ერთი კვირის ვადაში გამოჯესალის მსუსი და თავისი  
შ დატკრებები. ჩემი მხრით შედატკრებათ ვასახელებ  
ბ. ბ. მარშენ ასათიანს და იფანე ვანქელიძეს.  
იღარის ერთჯალსიანი სამინისტრო სკოლის მს-  
წავლებელი ირაკლი ჩიგოვანიძე.

